პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 249 (9717) | ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია მოსკოვის ოლქში (1-ლი გვერდი).

პარტიის მოწოდების საპასუხოდ (1-ლი გვერდი).

ახალი ტექნიკა — სოფლის მეურნეობას! — კომბოსტოს ასაღები მანქანა (1-ლი გვერდი).

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. — ი. ახვლედიანი. — ავამაღლოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის დონე (მე-2 გვერდი).

რ. ჭურციკიძე. — კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

მკითხველთა შენიშვნები (მე-2 გვერდი).

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი (მე-4 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა [illegible] ტრის ჯოუ ენ-ლაის წერილი კორეის შესახებ პოლიტიკური კონფერენციის გამო (მე-4 გვერდი).

ეცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

მტკიცედ და თანმიმდევრულად შეუდგნენ საბჭოთა ადამიანები სამუშაოთა იმ დიდი პროგრამის განხორციელებას, რომელიც დაგვისახეს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის მისაღწევად, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო ასამაღლებლად.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად უკვე დაიძრა სამმხმარებლო საქონლის მზარდი ნაკადი სავაჭრო ქსელისაკენ, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მოწყობილობა და მინერალური სასუქები — სოფლისაკენ, უხვი ნედლეული სოფლიდან — მრეწველობისაკენ. სახელმწიფო ტვირთმოძრაობა თანდათან იზრდება და ძლიერდება ყველა სატრანსპორტო მაგისტრალზე.

ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის მუშაკები, პირველ რიგში კი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები მოწოდებული არიან სწრაფად და შეუფერხებლად, უდანაკარგოდ გადაზიდონ ეს სახელმწიფო ტვირთები დანიშნულებისამებრ. მათზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აგრეთვე ნედლეულისა და საწვავის დროულად მიზიდვა საწარმოებში, პირობების შექმნა იმისათვის, რომ მათ იმუშაონ რიტმულად, გამართულად.

მაგრამ ტრანსპორტის მუშაკები დამოუკიდებლად თავს ვერ გაართმევენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, თუ ვერ შეძლეს თავიანთ მრავალრიცხოვან კლიენტებთან შეწყობილი მუშაობა, თუ ვერ მოაწყეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ურთიერთდახმარების საქმე. რკინიგზის ტრანსპორტის კლიენტები არიან მრეწველობის საწარმოები, მტს-ები, კოლმეურნეობები, ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავეთა კოლექტივები. მათთან თანამეგობრობა, მტკიცე კავშირი, ურთიერთისათვის დახმარების გაწევა მთავარი პირობაა სახელმწიფო ტვირთზიდვის მზარდი დავალებების შესრულებისათვის.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შესასრულებლად გადიდებული საწარმოო ვალდებულებების განაღდება იკისრეს საქართველოს რკინიგზელებმა. აღსანიშნავია, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ანაღდებენ იმ სადგურების კოლექტივები, სადაც კლიენტებთან შეწყობილ მუშაობას მიაღწიეს, ურთიერთის დახმარების საქმე მოაწესრიგეს. თბილისის სატვირთო სადგურის, გორის, ქარელის, აგარის და მთელი რიგი სხვა სადგურების კოლექტივებმა კლიენტებთან თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის მოწესრიგების შედეგად სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შესასრულებლად გადიდებული საწარმოო ვალდებულებების განაღდება იკისრეს საქართველოს რკინიგზელებმა. აღსანიშნავია, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ანაღდებენ იმ სადგურების კოლექტივები, სადაც კლიენტებთან შეწყობილ მუშაობას მიაღწიეს, ურთიერთის დახმარების საქმე მოაწესრიგეს. თბილისის სატვირთო სადგურის, გორის, ქარელის, აგარის და მთელი რიგი სხვა სადგურების კოლექტივებმა კლიენტებთან თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის მოწესრიგების შედეგად სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შესასრულებლად გადიდებული საწარმოო ვალდებულებების განაღდება იკისრეს ჩაბმულ სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შესასრულებლად. ბორჯომის სატვირთო სადგურის მუშაკთა უთავბოლობის შედეგად სექტემბერში ჩაიშალა ბორჯომის წყლის გაზიდვის გეგმა იმის გამო, რომ წყლის ჩამომსხმელ ქარხანას გათვალისწინებული რაოდენობით ვერ მიაწოდეს ვაგონები.

სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზად ხშირად თვითონ კლიენტებიც გამოდიან. სექტემბერში თბილისის „ზაგოტზერნოს“ მუშაკთა გულგრილობის შედეგად დაუტვირთავი დარჩა 47 ვაგონი. საქართველოს თამბაქოს ტრესტმა სექტემბერში სსრ კავშირის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში თავისი პროდუქციის გასაგზავნად ვერ აითვისა 10 ვაგონი, ხოლო სოფლის მომარაგების რესპუბლიკურმა ბაზამ — 9 ვაგონი. ასეთი მაგალითები ბევრია.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების შესრულებას ოფიციალურ რკინიგზელთა, ისე რკინიგზის კლიენტთა მიზეზით ხელი იმიტომ ეშლება, რომ რკინიგზელები და რკინიგზის კლიენტურა შეწყობილად, ურთიერთთან შეთანხმებით არ მუშაობენ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მოსკოველ და დნეპროპეტროვსკელ რკინიგზელთა გამოცდილება. მოსკოვის ირგვლივი რკინიგზის კოლექტივმა მოაწყო კლიენტებთან სოციალისტური შეჯიბრება და იკისრა სატვირთო ოპერაციებისათვის ვაგონების გეგმაშეზომილად მიწოდება, კლიენტებისათვის ტვირთების მიღების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წინასწარ მიწოდება. კლიენტებმა თავის მხრივ იკისრეს სატვირთო ოპერაციების შესრულება არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც, ყველა ზომის მიღება იმისათვის, რომ არ დაუშვან მოძრავი შემადგენლობის გაცდენა.

სოციალისტური შეჯიბრება საერთო წარმატების მიღწევის მრავალგზის ნაცადი მეთოდია. საჭიროა საქართველოს რკინიგზელებმა ისარგებლონ მოსკოველ და დნეპროპეტროვსკელ თანამოძმეთა გამოცდილებით, უზრუნველყონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან შეწყობილი მუშაობა და ამით ტვირთზიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ამ საქმის ორგანიზატორებად უნდა გამოვიდნენ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები. რკინიგზელებსა და კლიენტებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღებას ყოველი საშუალებით უნდა შეუწყონ ხელი ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რათა უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვათა გეგმების შესრულება, სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა.

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია მოსკოვის ოლქში

მოსკოვი. (საკ. კორ.). ორთაჭალელ კოლმეურნეთა დელეგაცია მხურვალედ მიიღეს ტიმონინოში.

გაფართოებულ აქტივთან საუბრის დროს მიმდინარეობდა საქმიანი ლაპარაკი პირუტყვის შენახვის, მათი ჯიშების გაუმჯობესებისა და წველადობის ამაღლებამი გამოცდილების გაზიარების შესახებ. ორთაჭალელთა წარმომადგენლებმა გაიგეს, რომ რამენსკოეს რაიონი ითვლება ჯიშიანი მეცხოველეობის ერთ-ერთ ინტენსიურ მეურნეობად. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა წარმოადგენს მოსკოვის ახლოს ყველაზე მსხვილ მეურნეობას მეკარტოფილეობის დარგში. აქ ბოსტნეულის ჩითილი გამოჭყავთ ტორფნეშომპალიან ქოთნებში. რაიონში კარტოფილი 70 პროცენტით დარგული კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

ქართველი სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ საწარმოო ბრიგადების მუშაობას, თუ როგორ არის მათთან შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება. დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. დ. გელაშვილმა შეკრებილთ უამბო მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მნიშვნელოვანი როლის შესახებ რძითა და ბოსტნეულით თბილისის მომარაგების საქმეში.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესში ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა სთხოვეს ტიმონინოელებს ეწვიონ სტუმრად თბილისში. მათ სიხარულით მიიღეს ეს წინადადება.

ორთაჭალელებმა მადლობა გადაუხადეს მოლოტოველებს გულთბილი მეგობრული მიღებისათვის და რწმენა გამოთქვეს, რომ ეს დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო განამტკიცებს დიდ რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობას.

ორთაჭალელები, სწვდებიან რა ყოველ წვრილმანს, გულდასმით ისმენენ ნამბობს, ახსნა-განმარტებას და რჩევას მეგობრებისაგან, ვისთანაც ისინი ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მრავალი გაგონილი მათ შეაქვთ უბის წიგნაკებში.

ორთაჭალელები გაეცნენ ფერმაში დაყენებულ მუშაობას, უმთავრესად ელექტროწველას.

16 ოქტომბერს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოვიდა მოსკოვის კინოქრონიკის სტუდიის ჯგუფი, რომელმაც თბილისის კინოსტუდიისათვის გადაიღო საქართველოს დელეგაცია, როდესაც მან კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. პუზანჩიკოვის თანხლებით კვლავ დაათვალიერა საჯიშე ფერმა. დელეგაციის წევრები დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ, თუ როგორ აწარმოებდა ელექტროწველას წარჩინებული მწველავი სოციალისტური შრომის გმირი პრასკოვია სერგის ასული ნოვიკოვა.

ამავე დღეს დელეგატები კვლავ ეცნობოდნენ კოლმეურნეობის წარმატებებს ბერწიანობის ლიკვიდაციის საქმეში. ტიმონინოელმა კოლმეურნეებმა რჩევა მისცეს თავიანთ ქართველ მეგობრებს დაწესონ კონტროლი, გახსნან ხელოვნური დათესვლის პუნქტი.

ორთაჭალელი კოლმეურნეები დიდი ინტერესით გაეცნენ კოლმეურნეობის საფუტკრე მეურნეობას, მეცხვარეობის, მეკუთრდღლეობის ფერმებს და სხვ.

ერთ დღეს ქართველ კოლმეურნეთა ყურადღება მიიპყრო საინტერესო ფაქტმა: ფერმის კედლის გაზეთში მათ წაიკითხეს წერილი სათაურით „ქორწილი მზითვით“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მეცხოველეობის ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკის ზინაიდა სილუიანოვას გათხოვებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობის გამგეობამ დაადგინა მიეცეს მას 1.000 მანეთი. ორთაჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მიგრიაულმა დელეგაციის სახელით მიუოლცა სახელგანთქმულ მეცხოველე ქალს მომავალი ქორწილი და მიართვა თაიგული.

17 ოქტომბერს დილით ქართველი კოლმეურნეები იყვნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, სადაც მიმდინარეობს კარტოფილისა და ბოსტნეულის აღება. მათი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ მინდვრების დამუშავებისას გამოყენებულია სხვადასხვა სასუქები, რომლებმაც უზრუნველყვეს ჭარხლის დიდი მოსავალი, კომბოსტოს, სტაფილოს შესანიშნავი მოსავალი.

საღამოს კოლმეურნეობის კლუბში შედგა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება სტუმრების მონაწილეობით. კლუბში იყვნენ პრესის, კინოქრონიკის წარმომადგენლები, შეკრებილთა ყურადღება მიიპყრო სტენდმა, რომელზეც მოთავსებულია გამოხმაურებანი მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევებზე. მასალებს შორის არის სტალინის სახელობის ოლქის არტელ „ჩერვონი პრაპორის“ წევრთა წერილი, ორთაჭალელი კოლმეურნეებისათვის გაგზავნილი წერილი და მათი პასუხი და სხვ.

მქუხარე ტაშით კრების პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია, ტიმონინოს კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები.

კრება გახსნა ამხ. პუზანჩიკოვმა, რომელიც მიესალმა მომძე საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს და მოაგონა კრების მონაწილეებს ვალდებულებანი, რომლებიც მოლოტოველებმა იკისრეს ქართველ კოლმეურნეებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით 1954 წლისათვის. ამხ. პუზანჩიკოვმა გამოთქვა რწმენა, რომ შეჯიბრება დაეხმარება მაღალი მოსავლის მიღებაში მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში გახდა ცხობილი განსაკუთრებით ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების შემდეგ.

მებაღეობის ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ე. პივოვაროვამ კრებას წაუკითხა ქართველ კოლმეურნეთა წერილი ტიმონინოელებისადმი. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ კრებაზე ამხ. მიგრიაულის გამოსვლას, რომელმაც მოლოტოველებს გადასცა ქართველ კოლმეურნეთა ძმური სალამი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობაში, უამბო დამსწრეებს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობაზე, მის ახალ გადიდებულ ვალდებულებებზე.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, მერგოლურმა ამხ. კატანსკაიამ კრებას მოუთხრო იმ ახალ დამატებითს ვალდებულებებზე, რომლებიც იკისრა კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ქართველ მოძმეებთან შეჯიბრებაში. შეკრებილნი ყურადღებით უსმენდნენ აგრონომ ამხ. კარტოზიას, რომელიც შეეხო იმას, თუ რა ნახა დელეგაციამ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, ილაპარაკა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ამოცანებზე გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

ზოოტექნიკოსი ამხ. კირეევა მიესალმა ძვირფას სტუმრებს — მოძმე საქართველოს წარმომადგენლებს და აღუთქვა მათ, რომ მოლოტოველები ღირსეულად შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ამის შემდეგ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მიგრიაულმა ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მიგრიაულმა ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. პუზანჩიკოვს ორთაჭალელთა სახსოვრად საჩუქრად გადასცა წითელი დროშა. დროშის ერთ მხარეზე, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ფერადებით შესრულებული პორტრეტებიხ გვერდით, არის წარწერა: „მეგობრობის ნიშნად მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან“. მეორე მხარეზე წარწერაა: „გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად“. მიიღო რა ქართველ კოლმეურნეთა ეს საჩუქარი, ამხ. პუზანჩიკოვმა აღუთქვა მათ, რომ მარად იცოცხლებს ტიმონინოელთა მეგობრობა ქართველ კოლმეურნეებთან.

18 ოქტომბერს დილით დელეგაციამ მადლობა გადაუხადა მოლოტოველებს გულთბილი მიღებისათვის და გაემგზავრა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. ამავე დღეს ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს კრემლის საიარაღო პალატა, სადაც უდიდესი ინტერესით ეცნობოდნენ უნიკალურ და სხვა შესანიშნავ ექსპონატებს.

ს. რიჭინაშვილი.

ახალი ტექნიკა — სოფლის მეურნეობას!

კომბოსტოს ასაღები მანქანა

მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩის“ მინდვრებზე წარმოებს გამოცდა კომბოსტოს ასაღები მანქანისა, რომელიც შექმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა.

კომბოსტოს ასაღები მანქანა ერთმწკრივიანია. მანქანას ამუშავებს „კდ-35“ მუხლუხა ტრაქტორი, რომლის მარჯვენა მხარეზეც დაკიდებულია იგი.

მთელი მანქანის წონა დაახლოებით ნახევარი ტონაა. წარმადობა — 0,25 ჰექტარი საათში. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, იგი კომბოსტოს იღებს დღეში ერთნახევარ-ორ ჰექტარზე. მანქანას წრის უსწორმასწორობისა არ ეშინია. ის, ასე ვთქვათ, ეგუება მინდვრის მიკრორელიეფს.

მოსავლის მანქანებით აღებისას მუშახელის საჭიროება ერთიოთად — ერთიხუთად მცირდება. მანქანას მომსახურებას უწევს სამი კაცი — ტრაქტორისტი, მემანქანე და დამხმარე მუშა. დამხმარე მუშის მოვალეობაა თვალყური ადევნოს ელევატორის მუშაობას და ავტომისაბმელის დატვირთვას.

საექსპერიმენტო ნიმუშის სახელმწიფო გამოცდის შემდეგ ქარხნები შეუდგებიან კომბოსტოს ასაღები მანქანის სერიულ წარმოებას. 1954-1955 წლებში გამოშვებულ იქნება კომბოსტოს ასაღები რამდენიმე ათასი ახალი სრულყოფილი მანქანა.



სურათზე: კომბოსტოს აღება მანქანით მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩში“.

ფოტო ნ. პეტროვისა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა ჩინეთში

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც 18 ოქტომბერს გამოსულმა გაზეთმა „ჯუნსუიუხაობაომ“ გამოაცხადა. გამომცემლობა „ჟენმინჩუბანშემ“ ჩინურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემას, წერს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისა და წარმატებითი სახელმწიფო მშენებლობისათვის. ამჟამად, წერს გაზეთი, სტამბა „სინხუაშუდიანის“ პეკინის პირველ განყოფილებაში იწყობა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი ჩინურ ენაზე, რომელიც 1954 წლის თებერვალში გამოვა.

ახალი ელექტრომანქანები

ხარკოვი. (საკდესი). სათბომავლო ელექტრომოწყობილობის ქარხნის კოლექტივი წარმატებით ეუფლება ახალი უნიკალური ელექტრომანქანების გამოშვებას. დამზადებულია ამგზნებთა პირველი პარტია, რომელიც განკუთვნილია 25 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინგენერატორებისათვის. აქამდე ამ რთულ მანქანებს ამზადებდა მხოლოდ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილა“.

ქარხანამ გამოუშვა აგრეთვე ელექტრომოწყობილობის პირველი კომპლექტი ახალი მძლავრი „ტე-3“ მარკის მაგისტრალური თბომავლისათვის.

პარტიის მოწოდების საპასუხოდ

სუხუმი. (საკ. კორ.). სუხუმის რაიაბრეშუმის კანტორის აგრონომი ამხ. ქ. თენგიეშვილი ყურადღებით გაეცნო მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სოფლად დაბრუნების შესახებ და სათანადო ორგანოს მიმართა განცხადებით, რომელშიც წერს:

„სპეციალობით აგრონომი ვარ. პარტიის მოწოდების საპასუხოდ სურვილი მაქვს წავიდე სამუშაოდ სოფლად, იქ, სადაც წყდება უხვი მოსავლის მიღების ბედი. მთელ ჩემს ძალასა და ცოდნას მოვახმარ სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეს“.

პატრიოტი აგრონომის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამხ. თენგიეშვილი სამშობლოდ გაგზავნა სოფელ ბესლეთის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში.

750 ტონა ფოლადისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). — ოქტომბერში გეგმის გადამეტებით მივცეთ დედასამშობლოს 750 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი, — ასეთი ვალდებულებით ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეები.

უკანასკნელ ხანს ახალგაზრდა მეფოლადეებმა შესამჩნევად გააძლიერეს შრომის ტემპი. ოქტომბრის პირველ დეკადაში მათ განაზორციელეს 50-ზე მეტი ჩქარისნული დნობა და გეგმის გადამეტებით 660 ტონა ფოლადი გამოადნეს.

მეფოლადეებმა ი. მეტრეველმა, ვ. ჭაბაშვილმა, ზ. კვახაძემ და ნ. გოჩიტხინმა ოქტომბრის პირველსავე დეკადაში გადაჭარბებით შეასრულეს ინდივიდუალური ვალდებულებანი.

რესპუბლიკის სანარმოებში

შალის ქსოვილები და საგნები

საქართველოს შალეულის მრეწველობის ტრესტის საწარმოები ამჟამად 14 ასორტიმენტის შალეულს უშვებენ. 9 თვეში გამოშვებულია 2,5 მილიონზე მეტი მეტრი ქსოვილი, აქედან მილიონამდე მეტრი გეგმის გადამეტებით. წლის ბოლომდე მოსახლეობა გეგმის ზევით მიიღებს 72.000 მეტრ შალეულს.

უახლოეს ხანში თბილისის კამოლ-მაუდის ფაბრიკა აითვისებს „დედაქალაქის დრაპის“ და ქალის ხელოვნური ბოჭკონარევი სპალტოე დრაპის დამზადების ტექნოლოგიას, ეს ქსოვილები მომავალი წლიდან მასობრივად გამოვა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა მომავალი წლიდან დამატებით გამოუშვებს ორი ახალი სახის ქსოვილს — მამაკაცის ხელოვნურ ბოჭკონარევ სპალტოე დრაპს და შალის საბნებს.

აბრეშუმის ქსოვილები

წელს მოსახლეობა მიიღებს 26 სხვადასხვა საგნობის 13,5 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს, რომელსაც 100-მდე სხვადასხვა მოხატულობა აქვს. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მიერ დამზადებული აბრეშუმის ნაწარმი იღებება 350-მდე სხვადასხვა გაფერადებით. ამ ფაბრიკის ნაწარმი — ნატურალური და ხელოვნური ქსოვილები დიდი რაოდენობით იგზავნება კიევში, ხარკოვში, როსტოვში, კუიბიშევში, სტავროპოლსა და სხვა ქალაქებში.

ერთიორად დიდდება ახლადათვისებული მაღალხარისხოვანი ქსოვილების „კოკეტ-მოსკოვისა“ და კრეპ „საპირველმაისოს“ დამზადება. წლის ბოლომდე მოსახლეობა მიიღებს 4 მილიონ მეტრ შტაპელურ ქსოვილს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა.

აფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავეჯო ხის დამმუშავებელმა წარმოებამ ითვისა სერვანტის, საღილის გასაშლელი მრგვალი მაგიდის და რადიომიღების დასადგმელი მაგიდის გამოშვება. ფაბრიკის მიერ დამზადებულ ავეჯზე დიდი მოთხოვნილებაა.

ამჟამად წარმოება ემზადება წიგნის კარადებისა და ჭადრაკის მაგიდების გამოსაშვებად.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქლუხორის რაიონის მაღნისხევის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი მაღარო და შეიქმნა მაღაროს სადაბო საბჭო ცენტრით დაბა მაღაროში. (საქდესი).

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 31 ივლისის ბრძანებულებაში შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება და აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის ქვემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საბჭოებს და სოფლებს ეწოდოთ:

სოფელ აჭანდარას — სოფელი გუფ-აგუ, აჭანდარის სასოფლო საბჭოს — არასაძიხის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გუფ-აგუში.

სოფელ დიდ აგარაკს — სოფელი არაკიჩი, სოფელ პატარა აგარაკს — სოფელი აგარაკი, აგარაკის სასოფლო საბჭოს — არაკიჩის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არაკიჩში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მახარაძის რაიონის მერრიის სასოფლო საბჭოს გამოეყო ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ჩაის ფაბრიკის და ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დასახლებული პუნქტები და შეიქმნა ამ დასახლებული პუნქტებისაგან ლაითურის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა ლაითურში.

მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს გამოეყო ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, სახელმწიფო სანერგისა და საქმაგნეტიტის მაღაროს დასახლებული პუნქტები, ხოლო ნატანების სასოფლო საბჭოს — ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის დასახლებული პუნქტი და შეიქმნა ამ დასახლებული პუნქტებისაგან ურეკის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა ურეკში.

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

ავამაღლოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის დონე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმმა გრანდიოზული ღონისძიებები დასახა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. დადგენილებაში ნათქვამია: „პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მოთხოვნილებანი, რაც მოითხოვს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ზრუნვის გაძლიერებას. საჭიროა ავამაღლოთ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გამოვაცოცხლოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა, რეგულარულად ვუჩვენოთ კინოფილმები, გავაძლიეროთ სოფლების რადიოფიკაცია და გავაუმჯობესოთ რადიომაუწყებლობის ხარისხი“.

ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ აღმოვფხვრით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში ამჟამად არსებულ ნაკლოვანებებს, თუ არ გავაძლიერებთ ამ დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღებასა და დახმარებას.

სამწუხაროდ, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შეუფასებლობის ფაქტებს იშვიათად როდი ვხვდებით. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ კაჭრეთის სარაიონო კულტურის სახლს დღემდე საკუთარი შენობა არა აქვს და იგი მოთავსებულია სარდაფში. დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოს ოძისის სოფლის სამკითხველო მოთავსებულია 8-წლიანი სკოლის ერთ ოთახში. სამტრედიის რაიონის კულაშისა და გომის სასოფლო კლუბის შენობები ავარიულ მდგომარეობაშია. უვარგის ბინებშია მოთავსებული თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ზუგდიდის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, ასპინძის, სიღნაღის, კასპის, ბორჯომისა და სუხუმის რაიონების საკლუბო დაწესებულებათა საგრძნობი ნაწილი.

შეუფერებელი ბინები აქვთ აგრეთვე მთელ რიგ საბიბლიოთეკო დაწესებულებებს. კაპანის (აბაშის რაიონი) სასოფლო ბიბლიოთეკა მოთავსებულია 12 კვადრატული მეტრის მოცულობის ოთახში. ამ ბიბლიოთეკას არა აქვს არც ერთი კარადა, სკამი და მაგიდა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ჩაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ შეძლებენ კულტურული მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაყოფიერი მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების მომზადებასა და მათ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კადრების მოამზადებისა და გამოცდილი მუშაკების შენარჩუნებისათვის მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება, რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების შესწავლასა და განაწილებას. აჭარის ასსრ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს საშუალო განათლების არმქონე 69 მუშაკი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 11, დმანისის რაიონში — 10, ამბროლაურის რაიონში — 7, მარნეულის რაიონში — 19 და ა. შ. ეს იმ დროს, როცა აღნიშნულ რაიონებში საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკები.

ზოგიერთ რაიონში ნაცვლად იმისა, რომ იზრუნონ გამოცდილი მუშაკების შესანარჩუნებლად და მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად, მათ ხშირად ცვლიან. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1952 წლის განმავლობაში 150 მუშაკიდან შეიცვალა 81; ბოლნისის რაიონში 44-დან — 14, ქარელის რაიონში 39-დან — 17, მახარაძის რაიონში 81 მუშაკიდან — 44 მუშაკი.

ყველგან ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ლექციურ პროპაგანდას, მივიყენებულია იდეოლოგიური მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის ლექტორთა ჯგუფებსა და სოფლის ლექტორიუმებს 6 თვის განმავლობაში ერთი ლექციაც არ მოუწყვიათ. აბაშის, ყვარლის, ბოლნისისა და ქუთაისის რაიონების ლექტორთა ჯგუფებისა და სოფლის ლექტორიუმების მიერ წაკითხული ლექციების თემატიკა უმრავლეს შემთხვევაში შეზღუდული და ერთფეროვანია. ძლიერ მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები საბუნებისმეტყველო, სასოფლო-სამეურნეო და ანტირელიგიურ თემებზე. ყვარლის რაიონის ლექტორთა ჯგუფის ზოგიერთი ლექტორი სრულ უმოქმედობას იჩენს; ლექტორებს ამხ. გ. კანანაძეს, მ. პატარაიას, შ. ჩიტეიშვილს, ე. ლოლიაშვილს, ს. სეფაშვილს 6 თვის განმავლობაში არც ერთი ლექცია არ წაუკითხავთ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მუზეუმებს. ბევრ მათგანში კი (სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო, ბათუმის რევოლუციის, ახალციხის და მესტიის მხარეთმცოდნეობის და სხვა მუზეუმები) საექსპოზიციო მუშაობა დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე დგას. ექსპოზიციებში განსაკუთრებით სუსტად არის ასახული თანამედროვეობა. არასაკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა და სოფლის სოციალისტური მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი იმის შედეგია, რომ ეს საქმე მთლიანად მინდობილი აქვთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებს. იმის მაგივრად, რომ რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დახმარება აღმოუჩინონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუშაობის გაუმჯობესებაში, კულტურის განყოფილების გამგეებს ხანგრძლივი დროით აშორებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას და გზავნიან სოფლებში სამეურნეო თუ საფინანსო საკითხების მოსაგვარებლად.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველო ჯერ კიდევ არასაკმაო ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამითაც უნდა აიხსნას ის ხარვეზები, რომლებიც დღემდე ამ მიმართულებით გვაქვს.

პირველი და გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ახლო ხანში გამოინახოს შესაფერისი ბინები იმ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც უვარგის ბინებში არიან მოთავსებული.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მაღალ საფეხურზე დაყენება საგრძნობლად დამოკიდებულია სოფლის ინტელიგენციაზე — მასწავლებლებზე, აგრონომებზე, ექიმებზე... მათი აქტიური მონაწილეობა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში უნდა უზრუნველყოს განათლების, ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა. დიდი და სასარგებლო დახმარება შეუძლიათ გაუწიონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მწერალთა კავშირმა, თბილისის მოწინავე თეატრებმა, მხატვართა კავშირმა, კომპოზიტორთა კავშირმა, თეატრალურმა საზოგადოებამ. მათ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფართოდ უნდა გაშალონ საშეფო მუშაობა. მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალების და მოწინავე აქტივის მობილიზაცია სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ასამაღლებლად ხელს შეუწყობს იმ სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებებით არის გათვალისწინებული.

ი. ახვლედიანი,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი.

პარტიული ქრონიკა

პარტიული კომიტეტების პლენუმები

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მოხსნა და საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ა. ზ. ბერია.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ს. ა. სიხარულიძე.

* * *

ბაბრა. (საკ. კორ.). ამ დღეებში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის გაგრის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პარტიის გაგრის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ფარულავა.

პარტიის გაგრის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. შ. ა. დოლიძე.

პარგბიუროს მდივნის ანგარიში რაიკომის პლენუმზე

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიკომის მორიგმა პლენუმმა მოისმინა ლენინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივნის ვ. ბრეგაძის ანგარიში პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიული ბიურო და შახტის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. შახტის კოლექტივი სისტემატურად ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებას.

ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ შახტში მოდუნებულია პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. პარტიული კრებები დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

შახტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

სასკოლო პარტორგანიზაციების მდივნების სემინარები

წულუკიძე, 20 ოქტომბერი. (საქდესი). პარტიის წულუკიძის რაიკომმა მოაწყო სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების, დადგენილებების შესრულების ორგანიზაციის, კომუნისტებზე პარტიული დავალებების განაწილებისა და სხვა საკითხებზე.

ფოთში

★ ★

მიწისმფოფლების ახალი პარტია

ამას წინათ მიწისმწოფი მანქანების მშენებელი ქარხნის კოლექტივმა შუა აზიის რეს-პუბლიკების საირიგაციო მშენებლობებს გაუგზავნა გაუმჯობესებული ტიპის ხუთი მიწისმწოფი მანქანა „ახალი კოლხიდა“. ამჟამად ქარხანაში ამონტაჟებენ რამდენიმე ახალ მანქანას.

ახალი საამქროები

სარეწაო კოოპერაციის არტელები აფართოებენ მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვებას. სამი თვის წინათ არტელ „პირველ მაისთან“ გაეხსნა რკინის საწოლებისა და წვრილი რეზინის დამამზადებელი საამქროები. მარტო წვრილი რეზინის საამქრომ გასულ სამ თვეში გამოუშვა 216.480 მანეთის პროდუქცია.

მოგებათა გაცემა

ქალაქის ცენტრალურმა შემნახველმა ხალარომ მიმდინარე წლის 9 თვეში სხვადასხვა სესხის ობლიგაციებზე მოგებათა სახით გასცა 2.311.500 მანეთი. მათ შორის ერთი დიდი მოგება — 50.000 მანეთი ხვდა — ორპროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციას. ხუთი მოგება — მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს 10.000 მანეთის რაოდენობით თვითეულს, 14 — მესამე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს — 5.000 მანეთის რაოდენობით თვითეულს და სხვ.

ბავშვთა აღზრდის კერა

ასე ეძახიან პიონერთა სახლს, რომელიც ლამაზ და ნათელ შენობაშია მოთავსებული. აქ მუშაობს ხელსაქმის, მომღერალთა, მოცეკვავეთა, ჭადრაკის, ფოტომოყვარულთა, სიმღერის, ხატვის, დრამატული და სხვა წრეები, სულ 20-მდე წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 300-მდე მოსწავლე.

პიონერთა სახლი აწყობს ტურისტულ ლაშქრობებს და ექსკურსიებს. სწავლის დაწყებიდან მოეწყო ორი ტურისტული ლაშქრობა სუფსასა და ნოქალაქევში, ხოლო ერთი ექსკურსია ცნობილი ქართველი მწერლის ე. ნინოშვილის სამშობლო სოფლის ჩანჩეთის დასათვალიერებლად.

ჯ. კოპაძიძე.

სურათზე: ფოთის თეატრის შენობა.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

მკითხველთა შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე ინფორმაციებზე ჯერ ამთავრებენ

თავისი ლამაზი მდებარეობით მაიაკოვსკის რაიონში გამოირჩევა სოფელი წითელი ხევი. მაგრამ კეთილმოწყობის მხრივ იგი ძლიერ ცუდად გამოიყურება.

სოფელს შუაზე ჩაუდის მდინარე კირისწყალი, მაგრამ არ იქნა და არ ეღირსა ამ მდინარეზე ხიდს აგება. კოლმეურნეებმა დიდი ხალისით იმუშავეს სოფელში რადიოს გასაყვანად, დამზადდა ბოძები, მაგრამ დაწყებული საქმე ამჯერადაც მიატოვეს და დღესაც მოკლებული ვართ რადიომომსახურებას.

სოფელში მხოლოდ ერთ წელს იმუშავა ელექტროსადგურმა. კარგახანია ამ საკითხზე მივმართეთ სასოფლო საბჭოს აღმასკომს, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე იყო პატარა საკავშრო მაღაზია, რომელიც კოლმეურნეებს ამარაგებდა საოჯახო საქონლით. მაგრამ რატომღაც ეს მაღაზიაც დახურეს.

ო. ფაიქიძე,

მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

გორვაჭრობის ნაკლოვანებანი

გორის რაიონი მდიდარია ხილით, ბოსტნეულით. მიუხედავად ამისა, ქალაქ გორის მშრომელები ცუდად მარაგდებიან ამ მხრივ. ქალაქში არ არის ხილ-ბოსტნეულის სპეციალური საგაჭრო მაღაზია.

გორვაჭრობის მუშაობაში სხვა ნაკლიც არის. ზოგჯერ საკავშრო ქსელში არ იშოვნება პირველი მოთხოვნილების საქონელი. მაგალითად, ამ დღეებში მახარაძის ქუჩაზე მდებარე № 35 სასურსათო მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი ვ. მჭედლიძე) არ იყო მარილი. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქის არც ერთ მაღაზიას არ ჰქონდა სარეცხი საპონი. საკავშრო მაღაზიებში არ არის მოზრდილთა სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელი, აგრეთვე მამაკაცის კარგი ფეხსაცმელი.

ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე № 40 სასურსათო მაღაზია ერთ-ერთი დიდი მაღაზიაა ქალაქში, მაგრამ აქ ვერ იშოვნით № 5, 6 და 8 ღვინოებს.

წესრიგი არ არის პურით ვაჭრობაში. პურკომბინატიდან პურის გატანა საკავშრო ქსელში რატომღაც თვით პურის გამყიდველებს აქვთ დავალებული. ეს იწვევს პურკომბინატში გამყიდველთა რიგს, მაღაზიების დაკეტვას, ამის გამო ხშირად ქალაქის გარეუბნებში პური დილის 11 საათამდეც არ იყიდება.

გორვაჭრობის დირექცია (დირექტორი გ. მაკავარიანი) არ სწავლობს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

ა. მაისურაძე.

კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ

★

პასუხი შემოსულ შეკითხვებზე

★

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაჰყო: იმპერიალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალში შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ვითარდება და კომუნიზმს აშენებს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

კაპიტალისტური გარემოცვა იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ არსებობს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც განუწყვეტლივ აღმავალი ხაზით ვითარდება და რომელსაც წინსვლის კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები აქვს. მეორე მხრივ არსებობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც შინაგან და საგარეო წინააღმდეგობათა მძაფრად გამწვავების გამო მისული არიან დაღუპვის კარს. ეს ქვეყნები შეადგენენ მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვას და უცდიან ხელსაყრელ შემთხვევას, რომ თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, გაანადგურონ ის და ამ გზით გაახანგრძლივონ თავისი დრომოჭმული არსებობა. ამრიგად, კაპიტალისტური გარემოცვა მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. ის წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე.

კაპიტალისტური გარემოცვის არსის ყოველმხრივი მეცნიერული გაშუქება მოცემულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში. ამ საკითხს მეტად საგულისხმო ადგილი უჭირავს სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიაში — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიაში.

XX საუკუნის დამდეგს კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უკანასკნელ სტადიაში, მონოპოლისტურ სტადიაში, როცა აღმავალი კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად — იმპერიალიზმად გადაიქცა.

იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონმა განსაზღვრა პროლეტარული რევოლუციის მომწიფების სხვადასხვა დრო ცალკე ქვეყნებში. ვ. ი. ლენინმა იმპერიალისტური კაპიტალიზმის ღრმა ანალიზის საფუძველზე მოგვცა ახალი თეორიული დებულება, რომლის თანახმად განვითარების ახალ პირობებში სოციალისტურ რევოლუციას სავსებით შეუძლია გაიმარჯვოს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომ სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვება ყველა ქვეყანაში შეუძლებელია.

ასეთია ვ. ი. ლენინის გენიალური დასკვნა ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ოქტომბრის რევოლუციამ სასოკვდილო ჭრილობა მიაყენა ბურჟუაზიულ სამყაროს, შეარყია და დაასუსტა იმპერიალიზმის საფუძველი, გააადვილა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ჩვენს პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს აფრთხილებდნენ, რომ ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალისტური რევოლუცია გამოიწვევს არა მარტო დამარცხებული ექსპლოატატორული კლასების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, არამედ იმპერიალისტური სახელმწიფოების აუკარა შეიარაღებულ ჩარევასაც სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციით განადგურებული მემამულეები და კაპიტალისტები თეთრგვარდიელ გენერლებთან ერთად შეუთანხმდნენ იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებს საბჭოთა ქვეყანაზე შეერთებული სამხედრო თავდასხმისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობის მიზნით. კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მუშებსა და გლეხებს სამშობლოს დასაცავად უცხოელი დამპყრობლებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური თეთრგვარდიული ბროვის წინააღმდეგ ომში. სოციალიზმის ქვეყანაზე საერთაშორისო კაპიტალის პირველი სამხედრო თავდასხმა სრული კრახით დამთავრდა.

* * *

კომუნისტური პარტია განუხრელად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინის იმ დებულებებით, რომ შესაძლებელია ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა:

„აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ პირველად ლენინმა გამოთქვა. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არაფოდეს არ გადავიხვევია და არ გადავუხვევთ ლენინის მითითებებს“.

ჩვენ ორი სისტემის ხანგრძლივი თანაარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების მომხრენი ვართ იმიტომ, რომ მტკიცედ გვწამს მეურნეობის სოციალისტური სისტემის, სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, მტკიცედ გვწამს ჩვენი შინაგანი ძალები და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ძალები, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდებიან და იმარჯვებენ.

მიგვითითებდა რა, რომ საჭიროა საბჭოთა ქვეყნის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის განმტკიცება კაპიტალისტურ მსოფლიოსთან, ლენინი ამავე დროს მუდამ მოგვაგონებდა, რომ ჩვენმა სამშობლომ მშვიდობიანი განვითარების უფლება მოიპოვა შინაგანი და გარეშე მტრების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად. ლენინი მუდამ აფრთხილებდა პარტიას და ხალხს, რომ არსებობენ მტრული კლასები, მტრული მთავრობები, რომლებიც უდიდეს სიძულვილს იჩენენ ჩვენდამი, აწყობდნენ და კვლავაც მოაწყობენ სამხედრო თავდასხმებს ჩვენს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოზე. „აი რატომ ვამბობთ, — აღნიშნავდა ლენინი: — რაკი ხელი მოვკიდეთ მშვიდობიან მშენებლობას, მთელ ძალ-ღონეს გამოვიყენებთ, რომ განუწყვეტლივ განვაგრძოთ იგი. ამავე დროს, ამხანაგებო, იყავით ფხიზლად, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წითელი არმიის თავდაცვისუნარიანობას და გახსოვდეთ, რომ უფლება არა გვაქვს ერთი წუთითაც დავუშვათ ჩვენი მუშათა და გლეხთა და მათ მონაპოვართა შესუსტება“ (თხზ., ტ. 33, გვ. 164).

ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი განუხრელად ასრულებდნენ და ასრულებენ ლენინის ამ ანდერძს.

კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი უსაზღვრო ერთგულებით. კაპიტალისტური გარემოცვის ტროცკისტულ-ბუხარინელი აგენტების ყველა ცდა — ჩაეშალათ სოციალიზმის მშენებლობა—სრული კრახით დამთავრდა. პარტიამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

მაგრამ ეს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად ვერ ჩაითვლება, რადგან საბჭოთა კავშირის ირგვლივ არსებობს და მოქმედებს მტრული კაპიტალისტური გარემოცვა და ინტერვენციის საფრთხე. პირველი ინტერვენციის დამარცხებამ, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომში ჩვენმა გამარჯვებამ ვერ მოსპო ახალი ინტერვენციის საფრთხე, ვინაიდან ინტერვენციის საფრთხის წყარო — კაპიტალისტური გარემოცვა — კვლავ არსებობს.

ამ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარეობს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ზრუნვა იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო მუდამ იყოს სრულ მზადყოფნაში.

დიდი სტალინის თეორიულ დებულებას ჩვენს ქვეყანაში სრული კომუნიზმის აშენების შესახებ და მოძღვრებას საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნებისა და ყოველმხრივ განმტკიცების შესახებ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამშობლოს განვითარებისა და ქვეყნის აქტიური თავდაცვის მომზადებისათვის.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალისა და სოციალისტურ-საერთაშორისო ურთიერთობათა უარყოფილ სერიოზული შემოწმება იყო. კაპიტალისტურმა გარემოცვამ სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ დაძრა თავისი ყველაზე აგრესიული ძალები გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის სახით, მაგრამ მტერმა სასტიკი მარცხი განიცადა. იმპერიალისტური მსოფლიოს მეორე თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე სრული კრახით დამთავრდა. სსრ კავშირმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებზე ჩამოყალიბდნენ და განმტკიცდნენ სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას. ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ საზღვრებზე აღმოცენდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. არასოდეს საბჭოთა კავშირის საზღვრები არ ყოფილა ისე სამართლიანად და კარგად მოწყობილი, როგორც ამჟამად.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია საუკუნო ძმობით, მეგობრობით და უანგარო ურთიერთდახმარებით. დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი — დავეხმაროთ ერთმანეთს და მივაღწიოთ საერთო ეკონომიურ აღმავლობას. ასეთი ურთიერთდახმარების ფაქტი ისტორიაში პირველია. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი სამშობლო ამჟამად უკვე აღარ არის საერთაშორისო იზოლაციის პირობებში. ომის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ირგვლივ ჩამოყალიბდა დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი. ეს ბანაკი აერთიანებს 800 მილიონ ადამიანს, მის განკარგულებაშია კოლოსალური მატერიალური საშუალებები და მორალურ-პოლიტიკური ძალები. დემოკრატიული ბანაკის სამშვიდობო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მშრომელთა აქტიურ მხარდაჭერას პოულობს. ძლიერდება ხალხთა შორის ინტერნაციონალური კავშირი და ძმობა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს კაპიტალისტური გარემოცვის პრობლემა და მისგან გამომდინარე საფრთხე მოხსნილი იყოს.

კაპიტალისტური გარემოცვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვესმოდეს როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოების უშუალო მოსაზღვრეობა სოციალისტურ სახელმწიფოსთან. კაპიტალისტური გარემოცვა ხომ უბრალო გეოგრაფიული ცნება არ არის. ეს იყო და არის პოლიტიკური ცნება. ამიტომ ომით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიკვეცა ჩვენი უშუალო საზღვარი ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, საქმის არსებითა მხარე არ შეცვლილა, კაპიტალისტური გარემოცვა დარჩა და, მაშასადამე, დარჩა საფრთხე ინტერვენტების თავდასხმისა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე.

იმპერიალისტური ბანაკის პოზიციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სერიოზულად შესუსტდა. მომაკვდავი ბურჟუაზიული სამყარო შეუჩერებლად მიეჭანება სამარისაკენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასაუპავად განწირული იმპერიალიზმი ნებაყოფლობით დაუთმობს ადგილს ახალ, აღმავალ, მოწინავე სოციალისტურ წყობილებას. პირიქით, ბურჟუაზიული სამყარო, ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით, ყველა ვერაგულ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ როგორმე გაიხანგრძლივოს უბადრუკი არსებობა. ამერიკის იმპერიალიზმი მიმართავს შანტაჟს, დაშინებას, პროვოკაციებს, სხვა ერების ინტერესთა უგულებელყოფას, აკოწიწებს რეაქციულ მთავრობათა სამხედრო-აგრესიულ ბლოკებსა და კავშირებს, სამ წელიწადზე მეტ ხანს სისხლის მორევში აღრჩობდა თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, ქმნის სამხედრო ბაზებს, გამალებით ამზადებს ახალ დანაშაულებრივ ომს თავისი გიჟური მისწრაფების — მსოფლიო ბატონობის განსახორციელებლად.

შეუწყნარებელი შეცდომა იქნება და დიდად ავნებს მსოფლიო მშვიდობის დაცვის საქმეს, რომ სათანადოდ არ შევაფასოთ საშიშროება ახალი ომისა, რომელსაც ასე გამალებით ამზადებენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი დამქაშები. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის გრანდიოზულმა ზრდამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითდამშვიდება და სიფხიზლის მოდუნება მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ რაც უფრო უხეშეშია იმპერიალისტური რეაქციის საქმე, მით უფრო ცოფდება იმპერიალიზმი, მით უფრო თავაშვებულად მიისწრაფვის იგი ახალი სამხედრო ავანტიურებისაკენ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, წარმართავენ რა მთელი ჩვენი ხალხის ძალღონეს კომუნიზმის ასაშენებლად, ამავე დროს ერთ წუთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის მეთაურმა ნ. მ. შვერნიკმა დარბაზობა გამართა

ვენა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის მეთაურმა ნ. მ. შვერნიკმა დიდი დარბაზობა გამართა პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ პროფკავშირული დელეგაციების ხელმძღვანელები და მრავალი დელეგატი და სტუმარი.

დარბაზობამ ჩაიარა სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლებს ძმობის გულთბილ ატმოსფეროში, რაც დამახასიათებელია პროფკავშირთა მიმდინარე კონგრესისათვის.

კონსტანციდან წამოვიდნენ საბჭოთა სამხედრო გემები

ბუქარესტი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით კონსტანციდან გავიდა საბჭოთა სამხედრო გემების რაზმი ვიცე-ადმირალ ვ. ა. პარხომენკოს მეთაურობით. რაზმი რამდენიმე დღის წინათ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცაში ჩამოვიდა მეგობრობის ოფიციალური ვიზიტით.

საბჭოთა სამხედრო გემების მეგობრობის ვიზიტი ბულგარეთის ნავსადგურში

სოფია, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის ნავსადგურ სტალინში მეგობრობის ოფიციალური ვიზიტით მივიდა საბჭოთა სამხედრო გემების რაზმი ვიცე-ადმირალ ვ. ა. პარხომენკოს სარდლობით. საბჭოთა გემებს ზღვაში შეეგება ბულგარეთის სამხედრო გემი. შეხვედრისას მიცემულ იქნა ერების სალუტი. საბჭოთა გემები დადგნენ ნავსადგურ სტალინის გარე რეიდზე.

ათასობით მშრომელი მივიდა ზღვისპირა ბულვარში და ზღვისპირა პარკში საბჭოთა მეზღვაურების შესახვედრად. ქალაქში სადღესასწაულო სახე მიიღო.

ვიცე-ადმირალმა ვ. ა. პარხომენკომ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად ვიზიტები გაუკეთა ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს და სტალინის მშრომელთა დეპუტატების ქალაქ სანალხო საბჭოს თავმჯდომარეს.

გდინიიდან გავიდნენ საბჭოთა სამხედრო გემები

გდინია, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ნავსადგურ გდინიაში გაიმართა საბჭოთა სამხედრო გემების საზეიმო გაცილება.

გაცილებას დაესწრნენ გდანსკის სავოევოდოს რაგა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ. გერაგა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის საგოევოდოს კომიტეტის მდივანი ი. ტრუში, საბჭოთა კონსული გდანსკში მ. პოტაპოვი, აგრეთვე პოლონეთის სახელდრ-საზღვაო ფლოტის სარდლობის წარმომადგენლები.

საბჭოთა სამხედრო გემებს თან ახლდა ღია ზღვაში პოლონეთის საესკადრო ნაღმსანი „ბლისკავიცა“.

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურთა ყოფნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

18 ოქტომბრის დიღის სხდომა

ვენა, 18 ოქტომბერი. (საკდესი.) დღეს პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დი ვიტორიოს მოხსენების განხილვა.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ერთიან პროფკავშირთა „კონფედერაციის წარმომადგენელმა ემილიო სიმონიმ უამბო სხდომას, თუ რა მძიმე მდგომარეობაში არიან ტრიესტის მშრომელები. „ბ“ ზონაში, განაცხადა მან, მშრომელებს არ გააჩნიათ დემოკრატიული თავისუფლებანი. „ა“ ზონას ინგლისი-ამერიკელი იმპერიალისტები სამხედრო ბაზად იყენებენ. 105 ათასი მუშიდან 20 ათასს სამუშაო არა აქვს. პროფკავშირული მოძრაობა გათიშულია. პროფკავშირთა საქმიანობა შეზღუდულია იმ პირობების გამო, რომლებიც შექმნა სამხედრო მმართველობამ, რომელიც კოლონიური რეჟიმისაგან არ განსხვავდება.

ტრიესტის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების გადაწყვეტილება, თქვა დასასრულ სიმონიმ, ეწინააღმდეგება მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაუდასტურებლად, ეწინააღმდეგება იტალიის საზავო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერს 21 სახელმწიფო.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს ბრაზილიის დელეგატმა ელო ალვარესუ სობრინომ, კამერუნის პროფკავშირული გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ნ' გომმა, ურუგვაის მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალურმა მდივანმა ენრიკე პასტორინომ და სხვებმა.

დილის სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ დი ვიტორიომ. მან აღნიშნა, რომ მისი მოხსენების გამო გამართულ დისკუსიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დისკუსიამ ცხადყო, რომ კონგრესის დელეგატები ეთანხმებიან მოხსენების სამ დებულებას, სახელდობრ: საჭიროა გამოიჩინონ ინიციატივა ეკონომიური პროგრესისა და მშრომელი მასების ცხოვრების გაუმჯობესების მისაღწევად. არა მარტო კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების პროფკავშირები უნდა იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არამედ იმ კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირებიც, რომელნიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული გახდნენ; პროფკავშირები უნდა იბრძოდნენ დემოკრატიულ უფლებათა დაცვისათვის.

შემდეგ დი ვიტორიო შეეხო ცალკეულ დელეგატთა და მეთვალყურეთა გამოსვლებს. შეეხო რა ბრიტანეთის გვინეის მშრომელთა წარმომადგენლის სიტყვას, მან დაგმო ინგლისის ხელისუფალთა რეპრესიული მოქმედება ბრიტანეთის გვიანაში. დი ვიტორიომ წინადადებით მიმართა კონგრესს მტკიცე პრინციპი განაცხადოს ამ მოქმედების წინააღმდეგ, სოლიდარობა გამოუცხადოს ბრიტანეთის გვიანის მოსახლეობას.

აღნიშნა რა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა, დი ვიტორიომ კონგრესის დელეგატთა ტაშის გრიალში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი შთამაგონებელი მაგალითია ყველა ქვეყნის ხალხებისათვის, რომელნიც კაპიტალიზმის უღელქვეშ გმინავდა, შთამაგონებელი მაგალითია ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

დი ვიტორიო დაწვრილებით შეეხო დემოკრატიული უფლებებისათვის, თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის იტალიელ მშრომელთა ბრძოლის გამოცდილებას.

დასასრულ დი ვიტორიომ გამოთქვა რწმენა, რომ პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესი კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს მშრომელი მასების ბრძოლას ექსპლოატაციისა და სიღატაკის წინააღმდეგ.

18 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ვენა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც წინადადებათა კომისიის წევრმა იაროსლავ კოლარმა (ჩეხოსლოვაკია) განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის სახელზე მიღებულია 2.572 მისალმება სხვადასხვა ქვეყნიდან, საღამოს სხდომის თავმჯდომარემ ტოდორ პრახოვმა (ბულგარეთი) დღის წესრიგის მესამე პუნქტზე „პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში“ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა რუსლან ვიჯაჯასასტრას (ინდოეთი).

ვიჯაჯასასტრას გამოჩენას ტრიბუნაზე კონგრესის მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

19 ოქტომბრის დიღის სხდომა

ვენა, 19 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესის დილის სხდომაზე დაიწყო ვიჯაჯასასტრას მოხსენების განხილვა. ისრაელის არაბთა უმცირესობის მშრომელთა წარმომადგენელმა რუსტუმ ბასტუნიმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ისრაელის მოწინავე მუშები ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ებრაულ და არაბულ ეროვნებათა მშრომელებს შორის.

საფრანგეთის გვინეის მშრომელთა წარმომადგენელმა დრანეუმეზმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან გვინეის ფედერალურ პროფკავშირთა გაერთიანების წევრები ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

უზბეკეთის სსრ პროფკავშირთა წარმომადგენელმა ჯურა ხოჯაევმა განაცხადა, რომ საბჭოთა პროფკავშირები მხურვალედ თანაუგრძნობენ კოლონიების მშრომელთა სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იწონებენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობას კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების პროფკავშირებისათვის დახმარების გაწევის დარგში.

ხოჯაევმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა უზბეკეთში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ერთ-ერთი ყველაზე უუფლებო და ჩამორჩენილი კოლონია იყო.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, თქვა მან, უზბეკეთში აშენდა ათასზე მეტი დიდი ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, ნავთობსარეწი და სხვ. შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 213-ჯერ გაიზარდა, ნაცვლად დეჩკანთა წვრილი მეურნეობებისა, არსებობს დიდი კოლექტიური მეურნეობები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. წლითიწლობით მატულობს ბამბისა და სხვა სასურსათო და ტექნიკური კულტურების წარმოება. იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი.

მშრომელებისათვის ზრუნვა, განაცხადა მან, ჩვენში უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეა. უზბეკეთის სს რესპუბლიკაში მოქმედებს 500 საავადყოფო და ამბულატორია, 300-ზე მეტი სამშობიარო სახლი. ბევრი ბაგა და ბავშვთა სანატორიუმები, ხორციელდება უდიდესი საბინაო და კულტურული მშენებლობა. წლითიწლობით მატულობს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი.

მან ილაპარაკა აგრეთვე უზბეკი ქალის განთავისუფლებისა და წარმატებისა და სახელმწიფოს მართვაში მისი როლის შესახებ.

დასასრულ ხოჯაევმა უზბეკეთის მშრომელთა სახელით კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მუშათა კლასს უსურვა შემდგომი წარმატებანი ეროვნული განთავისუფლებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ალბანეთის მშრომელთა წარმომადგენლის იმრი კოჯანის სიტყვა.

კოჯანიმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ აშენებს ახალ ცხოვრებას ალბანელი ხალხი, რომელმაც მოიცილა უცხოეთის იმპერიალისტების უღელი და მოსპო ნახევრადკოლონიური რეჟიმი.

კოჯანიმ აღუთქვა კონგრესს, რომ ალბანეთის მუშათა კლასი და პროფკავშირული გაერთიანება აქტიურად იბრძოლებენ ერთიანობის განმტკიცებისათვის და მუდამ დაუჭერენ მხარს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას.

სუდანელ მშრომელთა პროფკავშირების გაერთიანების გენერალურმა მდივანმა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ დიალომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფრანგი, ინგლისელი, ბელგიელი, პორტუგალელი და ესპანელი კოლონიზატორები ნაწილად გლეჯენ აფრიკის კონტინენტს. ისინი ცდილობენ აფრიკა გადააქცინონ სამხედრო ბაზად, ნედლეულის წყაროდ, ხოლო აფრიკის მცხოვრებნი — საზარბაზნე ხორცად.

შემდეგ გამოდის ლაკდარ ყაიდი (ალჟირი). ყაიდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირში, ისევე როგორც ყველა კოლონიურ ქვეყანაში, პროფკავშირთა წინაშე დასახულია ხალხის მასების ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, უმუშევრობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უნარიანი შეიმბების, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის ამოცანები.

დე ეელნმა (ბელგია) ილაპარაკა ბელგიის კონგოს მშრომელთა მძიმე მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ უახლოესი მიზანი, რომლისთვისაც ჩადგება კონგოელი მუშების ბრძოლა, პროფკავშირულ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფაა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში კონგოელი მშრომელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების მუშათა კლასის სოლიდარობას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა პარაგვაის შუშის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის გენერალურ მდივანს ოსკარ გონსალესს.

კამერუნის წარმომადგენლის მოკლე სიტყვის შემდეგ სიტყვა მიეცა ლ. კოსტილიო ფლორესს, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესს მიესალმა გვატემალის გლეხთა სახელით. მან რწმენა გამოთქვა, რომ კონგრესი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებს არა მარტო მუშების საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ, არამედ მეჰმეტელებისა და უცხოეთის კომპანიების წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხებისათვის ძმური დახმარების გაწევის შესახებაც.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე იორდანიის მუშათა კონგრესის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის წარმომადგენელი ბარაქათი და სუდანის პროფკავშირთა წარმომადგენელი აჰმედ-აშ-შაფი.

19 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ვენა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კონგრესის საღამოს სხდომაზე ვიჯაჯასასტრას მოხსენების გამო გამოვიდნენ ლი სე-ბო (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ხოსე მელენდესი (კოსტა-რიკა), ხოსე მორერა (ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაცია), აბდულა ჰუსეინი (სირია), მუმნე (ლობანი), ალფონს დრუარი (საფრანგეთი), ტაკ ნგვე (ბირმა), ა. ზიარტიდისი (კვიპროსი) და ჩიკაია (შუა კონგო).

რ. ვიჯაჯასასტრას მოხსენება

ვენა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). სრულიად ინდოეთიის პროფკავშირთა ცენტრის გენერალური მდივნის მოადგილემ ვიჯაჯასასტრამ თავისი მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ ოთხ წელიწადში, რაც პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის შემდეგ გავიდა, კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ზოგიერთ ამ ქვეყანაში რეალური ხელფასი თითქმის სანახევროდ შემცირდა ომამდელ დონესთან შედარებით.

ათობით მილიონი ქალი და კაცი მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარია. კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში არსებობს შრომის მეტისმეტად მძიმე პირობები და დაბალი ხელფასი. ბევრ ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა ფორმის იძულებითი შრომის სისტემა, მშრომელთა განსაკუთრებით მძიმე საბინაო პირობები. კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშები და გლეხები, ე. ა. მოსახლეობის დაახლოებით 85 პროცენტი ხის ან თიხის ქოხებში, ანდა გადასატან ქოხმახებში ცხოვრობს.

კოლონიურ ქვეყნებში არსებობს რასობრივი დისკრიმინაცია. იგი გაგლენას ახდენს მუშების ხელფასზე, საყოფაცხოვრებო პირობებსა და პოლიტიკურ უფლებებზე. მაგალითად, ჩრდილოეთ როდეზიაში აფრიკელი მაღაროელი ევროპელი მაღაროელის ხელფასის მხოლოდ 1/20 იღებს იმავე სამუშაოს შესრულებაში. კენიაში ზანგები 50-ჯერ ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე ევროპელები.

კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშების ცხოვრების საეალალო პირობების ძირითადი მიზეზია იმპერიალისტთა მტაცებლური პოლიტიკა.

კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მოსახლეობა შეადგენს მილიარდზე მეტს, ესე იგი კაპიტალისტური სამყაროს მთელი მოსახლეობის 70 პროცენტს. მაგრამ მათი სამრეწველო წარმოება უდრის კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოების მხოლოდ 5 პროცენტს. უცხოეთის კაპიტალს იყენებენ მხოლოდ იაფფასიანი ნედლეულისა და განსაკუთრებით სტრატეგიული მასალების მისაღებად მეტროპოლიის ქვეყნებისათვის. კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების გადაქცეულია საქონლის გასაღების ბაზრებად, რომლებსაც კონტროლს უწევენ მონოპოლიები, და მაქსიმალური მოგების მიღების წყაროდ. სამხედრო ეკონომიკა და გამალებული შეიარაღება, რაც კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხებს თავს მოახვიეს, კიდევ უფრო უშლის ხელს მრეწველობის სამშვიდობო დარგების განვითარებას.

სოფლის მეურნეობის დარგში კოლონიურ და დამოკიდებულ ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში მიწათმფლობელობის ფეოდალური და ნახევრადფეოდალური სისტემის არსებობა ხელს უშლის ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს. ბევრ ამ ქვეყანაში კოლოსალური ტერიტორიები ეკუთვნით უცხოეთის მონოპოლიებს. მაგალითად, მალაიაში კაუჩუკის პლანტაციების მიწას 3/4 ინგლისურ ტრესტებს ეკუთვნით. ცენტრალურ ამერიკაში ამერიკულმა მონოპოლიამ „უნაიტედ ფრუტ კომპანიმ“ თავის განკარგულებაში მიიღო, 2,5 მილიონი ჰექტარი ყველაზე ნაყოფიერი მიწა; ალჟირში საფრანგეთის კოლონიური კომპანიები ფლობენ მთელი მიწის 55 პროცენტს.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელთა გაღატაკებით მონოპოლისტები უდიდეს მოგებას ღებულობენ. ომის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში წმინდა მოგება, რომელიც ამერიკის მონოპოლისტურმა კაპიტალმა მიიღო საზღვარგარეთ დაბანდებული თანხებიდან, რომელთა მეტი ნაწილი დაბანდებულია კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, შეადგენს 7.500 მილიონ დოლარს. 1950 და 1951 წლებში ინგლისის მონოპოლიებმა, რომლებიც კონტროლს უწევენ მალაიის კალის მრეწველობას, თავიანთ აქციონერებს გადაუხადეს 70-დან 100 პროცენტამდე დივიდენდები.

ვიჯაჯასასტრამ აღნიშნა, რომ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში თავიანთი ეკონომიური ბატონობის შესანარჩუნებლად იმპერიალისტები მიმართავენ უსასტიკეს მეთოდებს, თვით აგრესიულ ომებსაც კი.

დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვება, რომელმაც მოსპო იმპერიალისტების კონტროლი იმ ქვეყნისადმი, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს, ძირს უთხრის იმპერიალისტების ბატონობას აღმოსავლეთში და უდიდესი საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დიადი გამარჯვება, რომელიც კორეელმა ხალხმა მოიპოვა მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა და განსაკუთრებით ჩინელი ხალხის მხარდაჭერით, ცხადყოფს, რომ იმპერიალისტებს აღარ ძალუძთ დაიბრუნონ წინანდელი მდგომარეობა.

აღნიშნა რა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი ზრდა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ომისშემდგომ საერთაშორისო ვითარებაში და აჩქარებს მთელი კოლონიური სისტემის დაშლას.

მეორე ფაქტორი, რომელმაც კიდევ უფრო გაღრმავა კოლონიური სისტემის კრიზისი, არის ბრძოლა სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის კოლონიურ სამყაროში ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობისათვის.

ამერიკელი მონოპოლისტები შეიჭრნენ ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების გავლენის სფეროში და დამკვიდრდნენ იქ მოსახლეობისა და ადგილობრივი რესურსების ექსპლოატაციის მიზნით.

ხალხთა მასების ცხოვრებისა და შრომის პირობების შემდგომი გაუარესების ვითარებაში, კოლონიური სისტემის კრიზისის პირობებში და განსაკუთრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღძავლობის პირობებში, განაცხადა ვიჯაჯასასტრამ, ჩაღდება პროფკავშირული მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

თუმცა პროფკავშირული მოძრაობა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში სერიოზულ სიძნელეებს აწყდება რეპრესიებთან და იმპერიალისტებისა და მათი აგენტების გამთიშველ მანევრებთან დაკავშირებით, განაცხადა ვიჯაჯასასტრამ, ამჟამად იგი სწრაფი ზრდის პერიოდს განიცდის. მშრომელთა ბრძოლა სულ უფრო იღებს მასობრივი მოქმედების ხასიათს. ბევრ ქვეყანაში გლეხები, მოსახლეობის საშუალო ფენები, ხელოსნები, წვრილი მეიჯარეები და ინტელიგენცია უერთდებიან მუშათა კლასის ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ბრძოლაში ებმებიან მშრომელთა ახალი ფენები. ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული განთავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლას.

მომხსენებელმა მოიყვანა მრავალი მაგალითი, რომელიც მოწმობს, რომ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ფართო მასშტაბით გაჩაღებულია პროფკავშირული მოძრაობა.

უკანასკნელი ოთხი წლის გამოსვლები, განაცხადა მომხსენებელმა, მოწმობს, რომ პროფკავშირული მოძრაობა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში საკმაოდ ძლიერია, რათა იბრძოლოს მუშების სოციალური და ეკონომიური უფლებებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათათვის, დაიცვას ისინი და მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

შემდეგ ვიჯაჯასასტრამ ილაპარაკა პროფკავშირების ამოცანებზე კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში. მან განაცხადა, რომ პირველი დიდნიშვნელოვანი ამოცანაა მოეწყოს ყოველდღიური ბრძოლა სოციალური და ეკონომიური კეთილდღეობის დასაცავად და უზრუნველყოფად.

იმისათვის, რომ შესაძლო გახდეს ამ ბრძოლის ქმედითად მოწყობა, განაცხადა მან, საჭიროა, რათა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა თვითეულ ქვეყანაში გულდასმით შეისწავლონ მუშების ეკონომიური და სოციალური მოთხოვნები და ამის საფუძველზე შეიმუშაონ მოთხოვნების პრაქტიკული პროგრამები.

ამ პროგრამების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მუშების ბრძოლას მხარი დაუჭირონ მოსახლეობის სხვა ფენებმა, და განსაკუთრებით გლეხებმა, ხელოსნებმა და წვრილმა ვაჭრებმა. კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებს უკვე დიდი გამოცდილება აქვთ იმ მხრივ, რომ მუშებს მხარს უჭერენ მოსახლეობის სხვა ფენები. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი იმასაც კი ახერხებდნენ, რომ ქმნიდნენ ერთიან ფრონტს მშრომელთა შეთანხმებული მოთხოვნებისათვის ბრძოლაში.

მეორე პრობლემა, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშებისათვის, არის პროფკავშირულ უფლებათა დაცვა და ამ უფლებების მოპოვება იქ, სადაც ისინი არ არსებობს.

წარმატების ძირითადი წინაპირობა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, არის მშრომელთა მოქმედების ერთიანობის მიღწევა.

შეეხო რა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის საკითხებს, მომხსენებელმა თქვა:

ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სოლიდარობის ყოველ ენერგიულ გამოვლინებას მოჰყვება ოპოზიციის უკანდახევა. მაგრამ იმისათვის, რომ ამ სოლიდარობამ მთელი ძალით მოახდინოს თავისი გავლენა, ჩვენმა ძმებმა კაპიტალისტურ ქვეყნებში რაც შეიძლება მეტი ღონისძიება უნდა იხმარონ, რათა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა გამოვლინდეს ყველა შემთხვევაში ჩაგვრისა და პროფკავშირების უფლებებზე შეტევის მსხვერპლთა მიმართ. მხოლოდ ასეთი საერთო მოქმედების საშუალებით შევძლებთ ერთობლივად მივაღწიოთ გამარჯვებას.

ვიჯაჯასასტრამ მოიყვანა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელთა მზარდი საერთაშორისო სოლიდარობის მთელი რიგი მკაფიო მაგალითები.

კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების პროფკავშირული მოძრაობის წინაშე, განაცხადა ვიჯაჯასასტრამ, დასახულია უმნიშვნელოვანესი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

თაც არ ივიწყებენ სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანას და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საიმედოდ იყოს დაცული ჩვენი ხალხის დიადი შემოქმედებითი შრომა. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც განუწყვეტლივ იმაღლებენ ბრძოლისუნარიანობას, შეუძლიათ გამანადგურებელი დარტყმა აგემონ ყველას, ვინც კი გათავხედდება და შეეცდება დაარღვიოს საბჭოთა კავშირის უშიშროება.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და მათი ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის მოსპობის შემდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმს ჩვენს ქვეყანაში აღარ გააჩნია რამდენადმე მასობრივი სოციალური დასაყრდენი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მტრების ერთადერთი დასაყრდენი არიან ჯაშუშები და დივერსანტები, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში გარედან გზავნიან, და ყოველგვარი ნაძირალები, პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი ელემენტები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის შიგნითაც პოულობენ. მტრების ეს ძირგამომთხრელი მოქმედება გასაგები და კანონზომიერია, რამდენადაც კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს.

საგულდაგულოდ გაწვრთნილი ჯაშუშებისა და მკვლელების გამოგზავნა ჩვენს ქვეყანაში იმ ფართო ძირგამომთხრელი მუშაობის მხოლოდ ნაწილია, რომელსაც ამერიკის სადაზვერვო ორგანოები ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომის მოსამზადებლად და გასაჩაღებლად.

თუ რა უკიდურეს თავხედობამდე მივიდნენ ჯაშუშობისა და მკვლელობის ამერიკელი ორგანიზატორები, ამას ნათლად ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1951 წლის 10 ოქტომბერს მიღებული კანონი, რომელიც ითვალისწინებს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ 100 მილიონი დოლარის ასიგნებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი, დივერსიული საქმიანობის დასაფინანსებლად. ეს კანონი მთელი მსოფლიოს მიერ შეფასებულია, როგორც საერთაშორისო სამართლის და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპების უხეში დარღვევის ფაქტი, რაც შეუთავსებელია ქვეყნებს შორის ნორმალურ ურთიერთობასთან.

მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივმა წრეებმა გადამწყვეტი პროტესტი გაანაცხადეს ამ კანონის წინააღმდეგ. ამერიკელ იმპერიალისტთა მთავრობამ კი ჩვეული თავხედობით ამ პროტესტებს იმით უპასუხა, რომ 1952 წლის 20 ივნისს მიიღო მეორე კანონი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ძირგამომთხრელი, ჯაშუშური საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნას ყოველგვარი დამატებითი თანხები ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ლონისძიებათა სახსრების ხარჯზე.

უფრო მეტიც. 1953 წლის 5 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კონგრესის განსახილველად შეიტანა კანონპროექტი მიმდინარე წელს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ. ეს კანონიც, ცხადია, ითვალისწინებს თანხებს ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. ბოლოს, 13 ივნისს, ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოჰყო სახსრები „ანტიკომუნისტური იატაკქვეშეთის“ დასაფინანსებლად.

ასეთია ამერიკის იმპერიალიზმის აღვირახსნილი დივერსიულ-ჯაშუშური მოქმედების მთელი სისტემა, რასაც ის უტიფრად უწოდებს „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის კანონს“. ამერიკელი ავანტიურისტები ფარისევლურად „მორალზე“, „ჰუმანურობაზე“, „ზნეობის ნორმებზე“ მსჯელობენ, მაგრამ ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ვერაგულად გათელონ ფეხქვეშ მორალური ქცევის ყველა ელემენტარული ნორმა.

იმპერიალისტ პოლიტიკოსებს მორალზე ლაყბობა იმისათვის ესაჭიროებათ, რომ დაფარონ თავიანთი შავბნელი ძირგამომთხრელი საქმიანობა. ასეთი ყალბი ქადაგებით ეს ავანტიურისტები ცდილობენ მოადუნონ ხალხთა სიფხიზლე და მოუსპონ მათ მშვიდობის მტრების ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლის ნებისყოფა. აქედან გამომდინარეობს ის აუცილებელი დასკვნა, რომ საჭიროა სულ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე.

* * *

საბჭოთა კავშირი ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გზით. ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. მთელ მსოფლიოში სიმპათიას და მხარდაჭერას პოულობს სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა. კორეაში სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტა ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის უდავო და ბრწყინვალე გამარჯვებაა. დემოკრატიულ გერმანიასთან ხელშეკრულების დადება ახალი მძლავრი ნაბიჯია მსოფლიო მშვიდობის დაცვისათვის.

იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო ავტ

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

რ. ვიჯაჯასასჯრას მოხსენება

(დასასრული)

ამოცანა — უაღრესად მჭიდრო კავშირის დამყარება ყველა მუშასთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და პროფკავშირული კუთვნილებისა, მათი რასისა და რელიგიური რწმენისა. მჭიდრო კონტაქტი მასებთან პროფკავშირული ორგანიზაციების არსებობის წყაროა.

შეეხო რა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების პროფკავშირთა შემდგომ ამოცანებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მათ მუშათა ფართო მასები უნდა ჩააბან მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობაში; მუშათა შორის აქტიური პროპაგანდა უნდა აწარმოონ მშვიდობის დასაცავად და აგრესიული ომების წინააღმდეგ და ამ მუშათა მასების საშუალებით გავლენა მოახდინონ მოსახლეობის სხვა ფენებზე; იბრძოლონ იმ ომების წინააღმდეგ, რომლებსაც აწარმოებენ იმპერიალისტები მალაიაში, ვიეტნამსა და სხვა ადგილებში, აგრესიული ჯარების იქ ყოფნის წინააღმდეგ ან რომელიმე სხვა ქვეყანაში სამხედრო ბაზების შექმნისა ან სხვა იმპერიალისტურ აგრესიულ ღონისძიებათა წინააღმდეგ; მოუწოდონ საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ. პროფკავშირებმა მხარი უნდა დაუჭირონ გლეხთა ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და აგრარული რეფორმისათვის, დაეხმარონ მათ დარაზმვაში, ყოველმხრივ გაუმარტონ მუშათა და გლეხთა ურთიერთმხარდაჭერის მნიშვნელობა.

პროფკავშირებმა, განაცხადა მან, აქტიური როლი უნდა შეასრულონ ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში; მხარი დაუჭირონ საერთაშორისო ვაჭრობის, ეროვნული მრეწველობისა და საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას თანასწორობის საფუძველზე.

პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ მუშათა ფართო მასები, გააერთიანონ ისინი დიდ პატრიოტულ მოძრაობად, რათა ისინი ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეროვნულ ერთიან ფრონტში, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენას მოიცავს.

საჭიროა განმტკიცდეს ურთიერთობა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების პროფკავშირულ მოძრაობას შორის, დამყარდეს მჭიდრო კავშირი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშათა შორის და უზრუნველყოფილ იქნას მათი მოქმედების ერთიანობა; განმტკიცდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

ჩინეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ლუ სინის გარდაცვალების მე-17 წლისთავს

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს რევოლუციონერი მწერლის, ახალი ჩინური ლიტერატურის ფუძემდებლის ლუ სინის გარდაცვალების მე-17 წლისთავს.

პეკინისა და ტიანძინის ყველა გაზეთი აქვეყნებს სტატიებს ლუ სინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გაზეთი „ჟენმინჟიბაო" წერს, რომ ლუ სინი არის მე-20 საუკუნის მსოფლიო რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი და ჩინეთის ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. ლუ სინის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედების დიდად შინაარსიანმა, ფორმით ბრწყინვალე პუბლიცისტიკამ, წერს ფინ სიუე-ფინი, საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს ჩინეთის ლიტერატურაში.

ნაწარმოებნი ლუ სინისა, რომელსაც მშრომელნი ჩინეთის გორკის უწოდებენ, დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ ჩინეთში. გასულ წელს ჩინეთში გამოიცა ლუ სინის ნაწარმოებთა 36 კრებული 770 ათასი ცალი ტირაჟით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ლუ სინის იმ ნაწარმოებთა ტირაჟს, რომლებიც ჩინეთის განთავისუფლებამდე გამოიცა. მიმდინარე წლის დამლევამდე გამოვა ლუ სინის ნაწარმოებთა ახალი გამოცემები 250 ათასი ცალი ტირაჟით.

ლუ სინის გარდაცვალების მე-17 წლისთავთან დაკავშირებით მწერლის სამშობლოში, ქალაქ შაოსინში, რესტავრაციის შემდეგ კვლავ გაიხსნა ლუ სინის მუზეუმი.

უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება

ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება იუწყება, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები მეგობრული კავშირისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების მიზნით შეთანხმდნენ გარდაქმნან თავიანთი დიპლომატიური მისიები საელჩოებად და გაცვალონ ელჩები.

ურალის სახელმწიფო ხალხური გუნდის გამოსვლა ბუქარესტში

ბუქარესტი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ამჟამად რუმინეთში გამართულ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით აქ ჩამოვიდა ურალის სახელმწიფო ხალხური გუნდი. გუშინ დიდ სასპორტო დარბაზ „ფლორიასკაში" 2 ათასამდე მაყურებლის დასწრებით გაიმართა საბჭოთა მსახიობების პირველი კონცერტი.

კონცერტს დაესწრნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ლ. გ. მელნიკოვი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

საბჭოთა მსახიობების საბოლოო კონცერტი ჰელსინკში

ჰელსინკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი.) ფინეთში დაახლოებით ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ გუშინ ჰელსინკის მესუჰალის დიდ დარბაზში საბჭოთა მსახიობებმა საბოლოო კონცერტი გამართეს. კონცერტს დაესწრო ფინეთის დედაქალაქის მრავალი მცხოვრები, რომელნიც გულთბილად შეხვდნენ დიდი საბჭოთა კავშირის ხელოვნების წარმომადგენლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატის წინააღმდეგ

ინგლისის გემთმფლობელთა ფედერაციის თავმჯდომარის განცხადება

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი.). პრესის ცნობით, ინგლისის გემთმფლობელთა ფედერაციის თავმჯდომარემ დონალდ ანდერსონმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააწესეს შეზღუდვები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობაში.

ინგლისელი გემთმფლობელნი, თქვა მან, შანტაჟს უწოდებენ იმ პირობებს, რასაც თავს იხვევენ გემებს, რომლებსაც ამერიკელებს მიერ დაფინანსებული ტვირთი გადააქვთ. ასეთ გემებს აკრძალული აქვთ შორეულ აღმოსავლეთში „კომუნისტების კონტროლს დაქვემდებარებულ" რომელიმე ნავსადგურში შესვლა ორი თვის განმავლობაში ტვირთის მიტანის შემდეგ. ამასთან ამ შეზღუდვის შესრულების უზრუნველსაყოფად ფრახტის ღირებულების 25 პროცენტს უკავებენ აღნიშნული კადის გასვლამდე. ანდერსონმა დასძინა: „ყველა ასეთ შემთხვევაში, რომელთა შესახებ ცნობა აქვს ფედერაციას, გემთმფლობელნი უარს ამბობდნენ ამ პირობის შესრულებაზე".

ანდერსონი ჩოდა აგრეთვე, რომ ინგლისის გემებს, რომლებიც ამერიკის წყლებში არიან, აძლევენ განკარგულებას მიიღონ გემზე ამერიკელი შეიარაღებული მცველები. ასეთ წესს ანდერსონმა უწოდა „დამამცირებელი" ინგლისის სავაჭრო ფლოტისათვის.

იაპონიის შეიარაღებული ძალების გადიდების გეგმები

შანხაი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, ეგრეთწოდებული „ეროვნული უშიშროების სამმართველოს" უფროსმა კიმურამ დღეს განაცხადა, რომ „სამმართველო" ახლა განიხილავს სამხედრო მომზადების ხუთწლიან გეგმას, რომელიც ითვალისწინებს 270 ათასამდე ჯარისკაცის გაწვრთვნას. კიმურამ აღნიშნა, რომ „მთავრობა გეგმავს შემდეგ საფინანსო წელს ეროვნული უშიშროების კორპუსის მაქსიმალურ გადიდებას..."

საერთაშორისო საჰაერო ტურნირი

ციურიხი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჰადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტთა ტურნირზე გათამაშეს დაუმთავრებელი პარტიები. თამაშის განუახლებლად ეივე დანებდა ავერბახს, ხოლო ტალმანოვი — გელერს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ტალმანოვმა მოუგო კოტოვს, პეტროსიანმა შტალბერგსა და გელერმა გლიგორიჩს. ნაიდორფ-ბოლესლავსკისა და კოტოვ-ნაიდორფის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. 27 ტურის შემდეგ წინ არის სმისლოვი, რომელსაც 25 გათამაშებულ პარტიაში 16,5 ქულა აქვს. შემდეგი ადგილები უკავიათ: რეშევსკის 14,5 ქულა 25-ში, ბრონშტეინს 14,5 ქულა 26-ში, კერესს 14 ქულა 25 გათამაშებულ პარტიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის წერილი კორეის შესახებ პოლიტიკური კონფერენციის გამო

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გაგზავნა წერილი პასუხად შეეკრებულნი შტატების მთავრობის წერილისა პოლიტიკური კონფერენციის შესახებ. ეს წერილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა შვეიცის საელჩოს შეერთებული შტატების მთავრობისათვის გადასაცემად და დღეს სალამოს გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის წერილში ნათქვამია:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ მიიღო ცნობად და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შეისწავლა შეერთებული შტატების მთავრობის წერილი, გადმოცემული შვეიცის მთავრობის მეშვეობით 1953 წლის 14 ოქტომბერს.

ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით დავალებული მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

1. თავის 14 ოქტომბრის წერილში შეერთებული შტატების მთავრობა ამტკიცებს, რომ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის მხრის დელეგაციის მეთაური გენერალი ნამ ირი წონათ მოითხოვდა, რომ პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა რიცხვი შეზღუდული ყოფილიყო ორივე მხარის დინტერესებული მთავრობებით. ეს სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს. როცა 1952 წლის თებერვალში მიმდინარეობდა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-5 პუნქტის განხილვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის მხრის წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში, ყოველნაირად ცდილობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრთა უმრავლესობა, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას კორეის ომში, შეეყვანა კორეის ომში მოწინააღმდეგე მეომარი მხარის მონაწილეთა შემადგენლობაში. ამიტომ გენერალმა ნამ ირმა მოლაპარაკების მსვლელობაში ნათლად განაცხადა ტერმინის „მოწინააღმდეგე მხარეთა დაინტერესებული ქვეყნების მთავრობები" მნიშვნელობა, ცხადყო რა, რომ აქ უნდა ვიგულისხმოთ ერთი მხრივ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები და მეორე მხრივ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის დაინტერესებული ქვეყნების მთავრობები. გენერალმა ნამ ირმა აგრეთვე აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრთა უმრავლესობა, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას კორეის ომში, არ უნდა იქნას შეყვანილი კორეაში მოწინააღმდეგე მეომარი მხარის მონაწილეთა რიცხვში. მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის წარმომადგენელი ვიეტ-ადმირალი ჯოი დაეთანხმა ასეთ განმარტებას. დაზავების შესახებ მთელი მოლაპარაკების განმავლობაში, მოლაპარაკების მონაწილე კორეა-ჩინეთის დელეგაცია არასოდეს არ იზიარებდა იმ აზრს, რომ პოლიტიკურ კონფერენციაში არ უნდა მონაწილეობდნენ სხვა დაინტერესებული ნეიტრალური ქვეყნები. სრულიად შეუძლებელია აგრეთვე დაზავების შესახებ შეთანხმების მე-60 პარაგრაფის საფუძველზე გაკეთდეს დასკვნა, რომ პოლიტიკურ კონფერენციაში არ უნდა მონაწილეობდნენ სხვა დაინტერესებული ნეიტრალური ქვეყნები, შემდეგ „ბ" რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 430-ე პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე აღიარებულია, რომ საბჭოთა კავშირს, რომელიც არ ეკუთვნის ორთაგან არცერთ მეომარ მხარეს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ კონფერენციაში; ეს საკმარისია, რათა ცხადვყოთ, რომ პრინციპი, რომლის მიხედვით პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობა არ უნდა განისაზღვროს ორი მეომარი მხარით, უკვე მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობამ. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ წინადადება, რომელსაც ოვი მუდამ იცავს, საგანგებო სწორია, სახელდობრ, რომ პოლიტიკურ კონფერენციაში, გარდა კორეაში ორი მეომარი მხარისა, უნდა მონაწილეობდნენ დაინტერესებული ნეიტრალური ქვეყნები და განსაკუთრებით აზიის დაინტერესებული ნეიტრალური ქვეყნები.

2. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას უნდა მიეღო წინადადებანი, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა წამოაყენეს გენერალური მდივნის ბ-ნ დაგ ჰამარშელდისადმი სამპასუხო დეპეშებში, რომლებიც დათარიღებულია შესაბამისად 13 სექტემბრით და 14 სექტემბრით; მას უნდა მიეცა რჩევა მოწვეულიყო სრული შემადგენლობის პოლიტიკური კონფერენცია როგორც ორი მეომარი მხარის, ისე აგრეთვე სხვა დაინტერესებული ნეიტრალური ქვეყნების მონაწილეობით. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უარყო კორეა-ჩინეთის მხარის გონივრული წინადადებანი, დაემორჩილა უმცირესობის ნებას და წავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების წინააღმდეგ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას არ შეუძლია ერთხელ კიდევ არ გამოთქვას ამასთან დაკავშირებით, რომ ეს დიდად სამწუხაროა.

3. იმ პრინციპული პოზიციის შესაბამისად, რომელიც ჩვენ გვიკავია პოლიტიკური კონფერენციის საკითხში, და მხედველობაში იღებს რა მთელი მსოფლიოს აღმინთა მოთხოვნას, რომლებსაც მხურვალედ სურთ რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას პოლიტიკური კონფერენცია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ თანახმაა ერთობლივად გაგზავნის წარმომადგენლები, რათა შეხვდნენ შეერთებული შტატების წარმომადგენლებს პანმინჯონში 26 ოქტომბერს პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე მოლაპარაკებისათვის.

4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ ამ მოლაპარაკებაში შეიძლება შეტანილ იქნას პოლიტიკური კონფერენციის ადგილისა და დროის განსაზღვრის საკითხები და სხვადასხვა საპროცედურო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხები შეერთებული შტატების მთავრობის წერილში დასახული საჭირო ღონისძიებათა შესახებ; მაგრამ ცენტრალურ სახალხო მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მოლაპარაკებაში გადაწყდეს პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ცენტრალური სახალხო მთავრობა ამით აცხადებს, რომ იგი იტოვებს უფლებას აღძრას ამ მოლაპარაკებაზე განხილვისა და გადაჭრის მიზნით პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხი.

ჯოუ ენ-ლაი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი.

პეკინი, 1953 წლის 19 ოქტომბერი.

• • •

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა დღეს ანალოგიური წერილი გაუგზავნა შეერთებული შტატების მთავრობას.

თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის საბავშვო ბაღში. სურათზე: ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები სათამაშო ოთახში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ხელოვნების ქრონიკა

ფილარმონიის კამერული კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ გახსნა კამერული კონცერტების ზამთრის სეზონი. გახსნაზე გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი. კონცერტის პროგრამაში იყო სტალინური პრემიის ლაურეატის სულხან ცინცაძის ნაწარმოებები.

შემდეგი კონცერტები ფილარმონიამ მიუძღვნა სოლისტი შემსრულებლების გამოსვლებს. ცნობილი პიანისტის ე. მალინინის შემდეგ ორი კონცერტი გამართა მუსიკოს შემსრულებელთა საკავშირო დათვალიერების ლაურეატმა მეგიოლინე ს. ფურერმა.

საინტერესოდ ჩაიარა ფილარმონიის სოლისტის ახალგაზრდა პიანისტ რ. ასტახიშვილის კონცერტმა. პროგრამა შედგებოდა კლასიკური საფორტეპიანო და ქართველი სბჭოთა ავტორების ნაწარმოებებისაგან.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლები

გუშინ, 20 ოქტომბერს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი, საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს რაიონებში.

ანსამბლი კონცერტებს გამართავს ხაშურში, ქუთაისში, წყალტუბოში, ბათუმში, ფოთში, სუხუმსა და გაგრაში, სადაც დაპყოფს სამ კვირას.

იუმორისა და სატირის საღამოები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში და ოფიცერთა სახლში წარმატებით გამოდიან მოსკოვის ესტრადის მსახიობები ალექსანდრე შურიგი და ნიკოლოზ რიკუნინი.

მათი გამოსვლების პროგრამაშია სატირული ფელეტონები, სახუმაროები, პაროდიები, იუმორისტული სცენები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა საესტრადო წარმოდგენა „კონცერტის მაგიერ".

ჩვენი ატაშეები

უნგრელ ფეხბურთელთა თბილისში ჩამოსვლის გამო

უნგრეთში ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობის გათამაშებაში ყოველწლიურად ათასობით გუნდი იღებს მონაწილეობას.

უნგრელ ფეხბურთელებს მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში მიუღიათ მონაწილეობა და თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. წარმატება ხვდათ უნგრელ ფეხბურთელებს XV ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ოქროს მედლები და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. წინასწარ შეხვედრებში უნგრელმა სპორტსმენებმა მოუგეს რუმინეთის გუნდს 2 : 1, იტალიას — 3 : 0, თურქეთს—7 : 1, შვეიცას — 6 : 0 და ფინალში იუგოსლავიას — 2 : 0.

უნგრეთის მოწინავე გუნდებს შორის დოჟას სახელობის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივს სპეციალური ადგილი უკავია. გეორგ დოჟა უნგრეთის ეროვნული გმირია, იგი XVI საუკუნეში გლეხთა აჯანყების ბელადი იყო.

დოჟას სახელობის კლუბი წარმატებით გამოდის უნგრეთის ჩემპიონატში. გასულ წელს ამ გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, პირველობა დაუთმო „ჰონვედს", მეორე ადგილი — „ბატარას". უკანასკნელი შეხვედრა ჩემპიონთან — „ჰონვედთან" დოჟას სახელობის კლუბის გუნდმა დაამთავრა ფრედ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მარჯვენა გარემარბი ეკრეში, მარჯვენა შუამარბი სუსა, ცენტრალური თავდამსხმელი დეაკი, მარჯვენა ნახევარდამცველი ბალოგი და მეკარე ხენი. ფერენც სუსა ცნობილია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის მოყვარულთათვის. მას იცნობენ აგრეთვე უნგრული კინოკომედიით „ანალბედები სტადიონზე", სადაც იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

თამაშის დიდი გამოცდილება და მაღალი ტექნიკა აქვს მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეს, უნგრეთის ფეხბურთის ვეტერანს დეაკს.

დოჟას სახელობის სასპორტო კლუბის გუნდში მრავალი ანალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. მათგან გამოირჩევა მარცხენა გარემარბი ტოტი, რომელიც რესპუბლიკის პირველი ნაკრები გუნდის წევრია.

მიმდინარე წელს უნგრეთის ჩემპიონატის ლიდერად ითვლება „ვერეშ ლობოგო" (ყოფილი „ბატარა"), რომელსაც 18 თამაშიდან 31 ქულა აქვს შეგროვებული. მეორე ადგილზე ქულების ასეთივე რაოდენობით, მაგრამ 19 თამაშიდან, იმყოფება „ჰონვედი", მესამე ადგილი უკავია დოჟას სახელობის სასპორტო კლუბს (23 ქულა 18 თამაშიდან).

აღსანიშნავია, რომ დოჟას სახელობის სასპორტო კლუბის გუნდი განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს მძლავრ მეტოქეებთან. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩემპიონატის პირველ წრეში დოჟას სახელობის კლუბის ფეხბურთელებმა მოუგეს „ჰონვედის" გუნდს ანგარიშით 5 : 2 და ფრედ (2 : 2) დაამთავრეს თამაში „ვერეშ ლობოგოსთან".

გუშინ თბილისს ეწვიენ დოჟას სახელობის სასპორტო კლუბის ფეხბურთელები, რომლებიც ხვალ, 22 ოქტომბერს, თბილისის დინამოელებთან გამართავენ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

21 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე შეიდგება კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". კონსულტანტი დოცენტი ვ. ა. სიგუა.

რედაქტორი დ. მჟელლიშვილი.

საავადმყოფო გადაწყვეტილება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფაქცევის წესების შესახებ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. ქალაქ თბილისის საზოგადოებრივ ადგილებში (თეატრებში, კინოებში, პარკებში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში, ავტობუსში, სტადიონებზე და სხვ.) და ქუჩებში ბავშვები და მოზარდები ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, მოსწავლეთათვის დადგენილი წესები, აგრეთვე ქუჩაში მოძრაობის წესები.

2. ბავშვებისა და 16 წლამდე ასაკის მოზარდების ყოფნა ქუჩებში, თუ მათ თან არ ახლავან მოზრდილები, ნებადართულ იქნას სასწავლო წლის პერიოდში (სექტემბერი — მაისი) საღამოს 10 საათამდე და ზაფხულში საღამოს 11 საათამდე.

3. საბავშვო თეატრებში დადგმები, საბავშვო კინოებში სეანსები და ბავშვებისათვის განკუთვნილი სხვა სანახაობითი და გასართობი ღონისძიებანი დამთავრდეს სასწავლო წლის პერიოდში არაუგვიანეს საღამოს 9 საათისა და ზაფხულში არაუგვიანეს საღამოს 10 საათისა.

4. კინოებში, თეატრებში, ცირკში და სხვა სანახაობითს დაწესებულებებში ბავშვებისა და 16 წლამდე ასაკის მოზარდების ყოფნა უმოზრდილებოდ ნებადართულ იქნას კვირაობით და დღესასწაულ დღეებში და ზამთრის, გაზაფხულისა და ზაფხულის არდადეგების დღეებში. სწავლის დღეებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფნა კინოებში, თეატრებში და სხვა სანახაობითს დაწესებულებებში უმოზრდილებოდ ნებადართულ იქნას მხოლოდ საღამოს 6 საათამდე.

სწავლის დღეებში საღამოს 6 საათის შემდეგ სანახაობითს დაწესებულებებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფნა ნებადართულ იქნას მხოლოდ პედაგოგების ან მოზრდილების თანხლებით.

X და XI კლასების მოსწავლეებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად იარონ ყველა სანახაობითს დაწესებულებაში.

5. იკრძალოთ საჯარო ორგანიზაციებს მაგარი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

6. იკრძალოს 16 წლამდე ასაკის ბავშვების შეშვება ლუდხანებში, რესტორანებში, საბილიარდოებში, აგრეთვე ბუფეტებსა და კაფეებში, სადაც წარმოებს მაგარი სასმელებით ვაჭრობა, თუ მათ თან არ ახლავან მოზრდილები.

7. საჯარო, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების, თეატრების, კინოების, კლუბების, კულტურის სახლების, ბაღების, პარკების, სტადიონების, სასპორტო მოედნებისა და სხვა სანახაობითი დაწესებულებების მუშაკები ამ საკალდებულო გადაწყვეტილების 3, 4, 5 და 6 პარაგრაფების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 100-მდე მანეთით ან მიესჯებათ იძულებითი მუშაობა 30 დღემდე.

8. აეკრძალოთ ბავშვებს:

ა) ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტომანქანის საფეხურებზე, ბუფერებზე და სხვა გამოშვერილ ნაწილებზე მგზავრობა;

ბ) გუბურებსა და მდინარეებში ბანაობა ისეთ ადგილებში, რომლებიც ამისათვის განკუთვნილი არ არის;

გ) ყველა სახის საქონლითა და საგნებით ვაჭრობა.

9. დაეკალოთ სახლთმმართველებს (კომენდანტებს) აცნობონ მშობლებს ბავშვების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ეზოებში ან სახლების შესასვლელებში.

10. მილიციის ორგანოებმა:

ა) ბავშვების ხულიგნური ქცევის შემთხვევაში დააჯარიმონ მათი მშობლები 200 მანეთამდე „ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ" სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 31 მაისის დადგენილების საფუძველზე;

ბ) პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც აქეზებენ ბავშვებს საზოგადოებრივი წესრიგის დასარღვევად ან აიძულებენ მათ ივაჭრონ და ჩაიდინონ დანაშაულობანი.

11. ბავშვებისა და მოზარდებისათვის ამ წესების ახსნა-განმარტება და მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატური წარმოება დაევალოთ სახალხო განათლების ორგანოებს, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლი — სახალხო განათლებისა და მილიციის ორგანოებს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი „საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფაქცევის წესების" შესრულებას.

12. „საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფაქცევის წესები", რომლებიც მოთავსებულია № 1-ით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა კრებულში, ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. მაღრაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. ბაძრაძე.

1953 წლის 18 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

21 ოქტომბერს	ხ. ფალიაშვილი — დაისი
22 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

21, 22, 23, 24 და 25 ოქტომბერს ჩინეთის და კორეის საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოსათხოვარი გასტროლები

და დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი სანავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.

ბილეთები იყიდება სანცირკის სალაროებში.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები გრიგოლ, ლეონა, რომან, რძალი ლილი სარალიძე, სიძე ნოდარ შენგელია, შვილიშვილები ია, ნუგზარ იუწყებიან ზინა პარმენის ასულ ჯიხვაძე-აბულაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X ქუთაისში, ყაზბეგის ქ. № 21.

საკავშირო დაუსწრებელი საფინანსო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრე ივანეს-ძე ქავთარაძის გარდაცვალებას.

თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის თამარ ხარლამპეს ასულ გოგუაძის გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის ბუფეტების კანტორის და რესტორანების თანამშრომლები იუწყებიან მარიამ თედორეს ასულ ჯანგიძის გარდაცვალებას.

შვილი თენგიზ, და ალექსანდრა, სიძე არჩილ, დისწულები თინა, ვენერა, ალექსანდრე გაგნიძეები, ბიძაშვილი ვასო ჯანგიძე იუწყებიან მარიამ თედორეს ასულ ჯანგიძე-გვანცელაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-